

ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამათემა
№4, 1 მაისი, ორშაბათი, 2023 წელი



ერთი ლექსი

ნიღბები

მორგებული გვაქვს ყალბი ნიღბები,
გულდაგულ ვმაღავთ რეალურ სახეს,
ხან ბოროტება გვიფარავს სხეულს,
და ცბიერება სამოსელს გვახვეს.
მორგებული გვაქვს უცხო ნიღბები,
დროდადრო ვიცვლით სასურველ როლებს,
დრო, უსწრაფესად, ცრუ მარათონში
მიჰქრის და გულწრფელ გრძნობებს გამოლევს...
ვერ შევითავსე, ვერ ვეგუები
ყალბი როლების უნიჭოდ ხლართვას,
ვერც მედროვეთა თამაშს ავყევი,
სადაც ვერ არჩევ ცრუსა და მართალს...
დავლენე ერთად ყველა ნიღაბი
და არ დავკარგე სახე ნამდვილი,
მხოლოდ ეს არის ჩემთვის სწორი გზა,
ღვთისკენ სავალი, არცთუ ადვილი...
და ახლა, ჩემი უნიღბო სახით,
ვუახლოვდები ცათა სამყოფელს,
როცა გამიღებ კარს შენი სახლის,
ღმერთო, ნამდვილი სახით მამყოფე...

მარინა ღონლაძე



რეცენზია

რატომ არ იხსენიება რუსთაველი მატიანეში?

გაიოზ იმედაშვილის ნაშრომში: „რუსთაველოლოგიური ლიტერატურა“ მეტად საინტერესო ცნობა მოიპოვება. კერძოდ:

საუკუნეზე მეტი ხნის წინ გაზეთ „ივერიის“ რედაქციისთვის ქიზიყელ მკითხველებს შეკითხვა გაუგზავნიათ:

„ყველას უკვირს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ „ვეფხისტყაოსანზე“ ხმასაც არ იღებენ მემატიანეში. მართლაც, საკვირველი იქნებოდა, რომ ასეთს თხზულებაზე ხმა არავის ამოელო, თუკი, სწორედ, თამარის დროსა ყოფილიყო დაწერილი. ამიტომ, ქიზიყში დღეს ბევრი ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია რამდენისამე საუკუნის შემდეგ დიდებული თამარისა“.

საქმე ის გახლავთ, რომ თამარის ეპოქიდან „რამდენისამე საუკუნის შემდეგდროინდელი“ მატიანეები აღარ მოგვეპოვება და იქნებ, მაშინდელია „ვეფხისტყაოსანი“, – ვარაუდობენ ქიზიყელები.

ეჭვი, რაც „ივერიის“ მკითხველებს გასჩენიათ, მთლად უსაფუძვლო როდია. მართლაც, შავთელი იხსენიება თამარის ისტორიაში, ვითარცა „კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი“, სარგის თმოგველიც, ჩვენამდე არმოღწეული „დილარგეთიანის“ ავტორი და „ვისრამიანის“ სავარაუდო მთარგმნელი – „კაცი ფილასოფოსი და სწავლული და მრავალღონე“, რუსთაველი კი არ ჩანს!

ვინმე თეოდოსიძეს ჭკვიანური, დამაჯერებელი პასუხი გაუცია ქიზიყელებისთვის „ივერიის“ 1888 წლის მეხუთე ნომერში:

„ვეფხისტყაოსანზე“ იმიტომ არა არის-რა ნათქვამი ქართლის მატიანეებში, რომ ამ წიგნის მოხსენიება აკრძალული უნდა ყოფილიყო“.

თეოდოსიძის აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წოდებრიობის გადალახვის ქადაგებაა, რასაც მაღალი წოდება უნდა აემხედრებინოს:

„რუსთაველი კი, იმ დროს, მე-12 საუკუნეში, თავისი სპეტაკის ჭკუით, ნათელის გრძობითა და უუდიდესის ნიჭიერებით ებრძვის ამისთანა ცრუ ამპარტავნობას, აღმერთებს სუფთა გრძობას სიყვარულისას და ჰქადაგებს, რომ ნამდვილი სიყვარული არ უნდა შეეპუოს ცრუ რწმენას, გადააბიჯოს შთამომავლობასა, გვარიშვილობასა და ეძებდეს კაცში ადამიანსა, როგორც მოიქცა თინათინი, მეფის ქალი, და შეუუღლდა თავის კარის კაცს, მშვენიერს ავთანდილს და, როგორც ნესტან-დარეჯანი, რომელმაც არ ინდომა ქმრად არც ერთი ხელმწიფე და მისცა თავისი სული, გული და სამაგალითო სიყვარული თავის ქვეშევრდომს ტარიელსა“.

მართლაც, მე-12 საუკუნის საქართველოში გაბატონებული ფეოდალური იდეოლოგიის პოზიციიდან „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი განსხვავებულად მოაზროვნე, ანუ დისიდენტი ჩანს. რა შეიძლებოდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ზემოხსენებული დისიდენტური შეხედულების წყარო? – ხალხური ზღაპარი, რომელშიც უფლისწულისა და გლეხის ქალის შეუღლება ჩვეულებრივი ამბავია. პოემაში სხვა დისიდენტური აზრებიც შეინიშნება, დისიდენტურად არის წარმოდგენილი, თუნდაც, გენდერული საკითხი. გავიხსენოთ, როგორი ინიციატივები არიან რუსთაველის ქალები, საზოგადოდ, და სასიყვარულო ურთიერთობებშიც: თინათინიც და ნესტანიც პირველნი უტყდებიან სიყვარულში თავიანთ რჩეულთ.

ყოველივე ამის და კიდევ სხვა რამის გამოც ფეოდალური ცენზურა, რომელსაც უთუოდ დაექვემდებარებოდა მატიანე, შეეცდებოდა მიეჩქმალა ამგვარი, მისთვის მიუღებელი ფეოდალური წესწობილების ძირგამომთხრელი აზრების შემცველი პოემა. „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის მატიანეში მოუხსენიებლობის მიზეზი ეს უნდა იყოს.

საამისოდ, კიდევ ერთი მიზეზი, ვფიქრობ, არის ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა არამარტო სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების, არამედ ესთეტიკის სფეროშიც იმდენად გაუსწრო თავის დროს, რომ მისი პოემა მე-12 საუკუნეში ვერანაირად ვერ იქნებოდა თავიდან ბოლომდე გატაცებით საკითხავი წიგნი,

„ამირანდარეჯანიანის“ ან „ვისრამიანის“ მსგავსად. „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი ადგილი ერთობ მოსაწყენი მოეჩვენებოდა მაშინდელ მკითხველს. იმ დროს მოსწონდათ რაინდების თავგადასავლები და სასიყვარულო ინტრიგები, რაც „ვეფხისტყაოსანშიც“ არის. რუსთაველი სინამდვილეში საგმირო-სარაინდო თხზულებას კი არა, ფსიქოლოგიურ რომანს და მე-19 საუკუნის ესთეტიკურ პრინციპებს მიახლოებული მანერით შესრულებულ ნაწარმოებს გვთავაზობს. მასაც უსერიოზულესი საკითხები აინტერესებს: ადამიანის ადგილი სამყაროში, ადამიანთა ქცევების მოტივები, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების პრობლემა („არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“; „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა“), აინტერესებს ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით, წინააღმდეგობრიობებით („ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“, „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“, „ყოლა ლხინთა ვერ იამებს, კაცი ჭირთა გარდუხდელი“, „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?“ „რასაცა გასცემ შენია, რასც არა, დაკარგულია“).

ყველაზე მოსაწყენი იმდროინდელი მკითხველისთვის, უთუოდ, ის ეპიზოდი იქნებოდა, რომელსაც „პოვნა ავთანდილისგან დაბნედილის ტარიელისა“ ჰქვია. აქ რუსთაველი ავთანდილს ურთულესი ამოცანის წინაშე აყენებს: მან ცხოვრებისკენ უნდა შემოაბრუნოს განადგურების პირას მისული მეგობარი, რომელიც მისტიციზმშია გადავარდნილი, სიცოცხლეზე ხელი აუღია და მხოლოდ სატრფოსთან იმქვეყნად შეყრის ოცნებას შეუპყრია.

ამ ამოცანას რუსთაველი სწორუპოვარი ოსტატობით, დიდი დამაჯერებლობით წყვეტს. მეგობრებს შორის მძაფრი კამათი იმართება. ავთანდილის იერიშებს მედგრად უკუაგდებს ტარიელი, მის თეზებს ანტითეზებით უპასუხებს, არგუმენტს – კონტრარგუმენტით. ავთანდილი ძალზე მობილურია. გავიხსენოთ, რა ოსტატურად ახერხებს იგი ტარიელის „დამუშავებას“, რაც ეტაპობრივად ხორციელდება ადამიანის, კერძოდ – რაინდის ფსიქოლოგიის სრული გათვალისწინებით.

პირველი ეტაპი – პირდაპირი იერიში:
„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულზე“ – ცდილობს ავთანდილი გონს მოიყვანოს მეგობარი. ტარიელის პასუხია: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა! ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცადა ვიყო ცნობასა“.

ავთანდილის მოწოდებას: „რაცა არ გნადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა“, ტარიელი ასე იგერიებს: „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“.

პირდაპირი, სწორხაზოვანი იერიში უშედეგოდ მთავრდება. ტარიელს ნესტანის პოვნის იმედი აღარ აქვს, უმისოდ კი სიცოცხლე არ შეუძლია, სატრფოსთან საიქიოს კვლავშეყრის იმედილა შერჩენია და სიკვდილისკენ მიილტვის („აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით“). როგორც ვხედავთ, ტარიელი ღრმა დეპრესიაშია („დეპრესიას ახასიათებს აზროვნებითი პროცესებისა და მოძრაობის შენელება, გუნება-განწყობის დაქვეითება... თვითმკვლელობის დაუძლეველი სურვილი“, – ვკითხულობთ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“).

და აქ ავთანდილი ჩინებულ ფსიქოთერაპევტად გვევლინება:
წარუმატებელი პირდაპირი იერიშის შემდეგ იგი ცვლის ტაქტიკას. თავს ისე აჩვენებს მეგობარს, თითქოსდა ხელს იღებს მისი დაყოლიების მცდელობაზე: იყოს ნება შენი, მე ჩემთვის, შენ შენთვის; სამშობლოში მელოდებიან, დიდხანს აღარ შეგანწყენ თავს, ოღონდ, ერთ რამესა გთხოვ და ნუ გამანბილებ, ამაზე მაინც ნუ მეტყვი უარს: ცხენზე შეჯექი, ერთხელ დაგინახო ისეთი, როგორიც მახსოვხარ, და მერე „მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი სანადელი“ (ატყუებს! – სიბრძნე სიცრუისა!).

ამ თხოვნაზე უარის თქმა მეტისმეტი უმადურობა იქნებოდა, ყოველგვარ ზღვარს გადასული, და ტარიელი უხალისოდ, მაგრამ მაინც, დათანხმდა, ცხენზე ამხედრებულს გაეცილებინა მეგობარი.

ავთანდილმა ცხენი მოჰგვარა, „წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქმინა; მინდორთაკენ ნაიყვანა, ტანი მჭევრი აძრვევინა“ (რა

კარგად იცის ადამიანის ფიზიოლოგია)! – „იცოდა, რომე შეჯდომა კაემანს მოაქარვებდა“. რუსთველი ხაზს უსვამს, რომ ავთანდილი ინტუიციურად კი არ მოქმედებს, არამედ მიზანმიმართულად – იცის რას და რისთვის აკეთებს.

ამით მთავრდება ტარიელის დეპრესიიდან გამოყვანის ის ეტაპი, რომელსაც შეიძლება ფიზიოლოგიური ეტაპი ვუნოდოთ.

შემდეგ, უკვე მორიგი, ეთიკური ეტაპი იწყება.

ამ ეტაპის დასაწყისში ავთანდილი, ერთი შეხედვით, გაუგებარ სვლას აკეთებს: თითქოსდა უადგილო რამეს ეკითხება ოდნავ მომჯობინებულ მეგობარს: „ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული: ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული, რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დავილო მერმე სული“ (ტარიელი სატრფოს სახსოვრად ოქროს სამხრეს დაატარებს თან, რომელიც ნესტანმა ასმათის ხელით გამოუგზავნა, როცა სიყვარულში წერილობით გამოუტყდა).

აღშფოთდა ამის გამგონე ტარიელი, ეგ რა მითხარი, რა მოისმინა ჩემმა ყურმაო, – უკმეხად მიუგო მეგობარს („არსასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა“), ამისი ფასი რა გამაჩნია, ესლა შემრჩა ნესტანისაგან, ეს მისეული სამხრეა, „მჯობი ყოვლისა სოფლისა...“

აი, სწორედ, ეგ მინდოდა მეთქმევიანებინა შენთვისო! – შესძახა ავთანდილმა („ვლამობდი მართ მაგისსავე თქმევასა“). რაკი ეგა თქვი, ახლა ჩემიც გაიგონეო: ეგ უსულო სამხრე თუ ასე გეძვირფასება, ასმათმა რალა დაგიშავა, ისიც ხომ მისგან დაგრჩა („მისი გამზრდელი, გაზრდელი, მისთვის მიხდელი ცნობისა“), უპატრონოდ, ბედის ანაბარა მიგიტოვებია ტყე-ღრეში, დაილია ქალი შენზე დარდითო („ალარად გინდა ასმათი, ნახე მართალი ბრჭობილი!“, „გლახ, დაგიგდია, არ ნახავ, შაბაშ მართლისა ბრჭობისა!“).

უსულო საგნის (სამხრის) და ცოცხალი ადამიანის (ასმათის) მახვილგონივრული შეპირისპირებით ავთანდილმა სანადელს მიაღწია – მეგობარს სინდისის ქენჯნა აღუძრა. მართალი ხარო, აღიარა ტარიელმა: „რაცა გითქვამს, უმართლე ხარ მეტისმეტად: საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭვრეტად; მე სიცოცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად, რათგან დავრჩი, გვალე, ვნახოთ, თუცავე ვარ ჯეროცა რეტად“.

ამის მომდევნო სტროფი ასე მთავრდება:

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს, ყველაფერი ფსიქოლოგიური რომანის ფრაგმენტია.

ჰოდა, ვინ იყო მე-12 საუკუნეში (გინდ საქართველოში და გინდ სხვაგან) ამგვარი ტექსტის დამფასებელი! შვიდი-რვა წლის ბავშვს, რომელსაც ზღაპრები ურჩევნია ყველა საკითხავს, ვერ მოაწონებთ ამას. სწორედაც, მე-12 საუკუნეში ესთეტიკურად ბავშვობის ასაკში იყო კაცობრიობა (ხაზს ვუსვამ: ესთეტიკურად და არა ინტელექტუალურად. ინტელექტის მხრივ მაშინდელი ადამიანი ახლანდელისგან დიდად არ გასხვავდება). მათიანეში მოიხსენიებდნენ კი არა, საერთოდ, როგორ მოაღწია ჩვენამდე, ისიც საკვირველია! ხოლო მოაღწია, შთამბეჭდავი სალექსო ფორმის, არაჩვეულებრივი ხატოვანებისა და ურიცხვი აფორიზმის გამო. ვინც რუსთაველის სკოლას გაივლიდა, საზოგადოებაში იოლად დაიმკვიდრებდა თავს.

თანამედროვეთ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ უთუოდ ექნებოდათ ამბივალენტური, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება. ის მათთვის მრავალმხრივ მიუღებელი, გამაღიზიანებელი, მაგრამ სასარგებლო, თანაც, იდუმალებით აღსავსე ტექსტი იქნებოდა (ყოველთვის იდუმალებით აღსავსეა ტექსტი, რომელიც ბევრად უსწრებს თავის ეპოქას).

წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება და იდუმალება კი ხელოვნების ქმნილებათა სიცოცხლისუნარიანობის მთავარი პირობაა.

ლევან ბრეგაძე, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.



დიმიტრი ყიფიანის მიტაცებული კარ-მიდამო

მანც, რა ბედი დაჰყვა დიმიტრი ყიფიანს... ჯერ იყო და, სამშობლოს სიყვარულისთვის, ახალგაზრდობაში, ვოლოგდაში გადასახლეს, შემდეგ, მოხუცებულობაში – სტავროპოლში. უფრო მეტიც, სამშობლოს, მამულის სიყვარული არ აპატიეს და, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის ტვინი, რომელიც, საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“.

შემდეგ, ათწლეულები კედელთან იყო მიყენებული და ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მიზანში სროდა...

შემდეგ მის კარ-მიდამოზე მწერალთა დასასვენებელი სახლი მოაწყეს. ბევრი რამ მაშინ განადგურდა და დაიკარგა. ყიფიანისეული ავეჯი და ნივთები გაიტანეს, სახლი საგრძნობლად გადააკეთეს. ერთ დროს „ვერსალის ნატეხად“ აღქმული სახლი დაზიანდა და დაკარგა თავისი პირვანდელი სახე, გამოუსწორებელი ზიანი მიაღდა მის მემორიალურობას, რომ არაფერი ვქვათ დიმიტრის კარ-მიდამოზე, რომელიც მიიტაცეს და დაისაკუთრეს.

ვინ აღუდგებოდა ამ პროცესს, ვინ დაიცავდა დიმიტრი ყიფიანს! მის შთამომავლებს საარჩევნო ხმის უფლებაც ჩამორთმეოდათ და, შიშით ვინ გაბედავდა წინააღმდეგობის განევას! დიდი მამულიშვილის მუზეუმზე ლაპარაკიც ხომ წყლის ნაყვა იყო, მის სახლში ერთი ოთახიც არ გამოიძებნა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის მოსაწყობად.

თითქმის ორმოცწლიანი დიდი ბრძოლის შემდეგ, როცა მოხერხდა მისი მუზეუმის დაარსება და შენობის რეაბილიტაცია, ვფიქრობდით, თანდათან, აღგვედგინა დიდი მამულიშვილის კარ-მიდამოს მემორიალურობა. ამით გვინდოდა, ჩვენი უღრმესი მოკრძალება გამოგვეხატა დღეს უკვე საქართველოს ეკლესიისგან წმინდანად შერაცხული დიდი წინაპრისადმი. ასე ვფიქრობდით, მაგრამ...

შექმნილმა მდგომარეობამ ახალი პრობლემის წინაშე დაგვავყენა. ახლაც სიამოვნებით მოკლავდნენ დიმიტრი ყიფიანს!.. თუ არ მოკლავდნენ, მისი კარ-მიდამოდან მანც გაასახლებდნენ, თუნდაც, ვოლოგდაში, ან თუნდაც, სტავროპოლში...

სხვას, ვერაფერს იფიქრებ კაცი, როცა ზოგიერთი მეზობლის მხრიდან დიმიტრის საკარმიდამო ნაკვეთის ხელყოფას, მიტაცებას, სათავისოდ გამოყენებას უყურებ. იქნებ, ვინმე შემოგვედავოს, ნაკვეთის კეთილმონყობა მიმდინარეობს, რას ერჩით მეზობელსო... ჯერ ერთი, მიტაცებულ ნაკვეთში სხვა რამის გაკეთებას ვაპირებდით და მეორეც, როგორი კარგი საქმეც უნდა კეთდებოდეს, ირღვევა ისედაც შელახული საკარმიდამოს მემორიალურობა... მიტაცებულია ვრცელი ტერიტორია. (გავიხსენოთ, როგორ დავიცავით გასული საუკუნის 90-იან წლებში ეს, ყველაფერი მოძალებული „ინვესტორებისაგან“), მოშლილია საზღვარი ყიფიანის მამულსა და მეზობელს შორის, საზღვარი მუზეუმის მხრიდან რკინის ბადით კაპიტალურად ჩაუღობავთ. სამადლოდ, კარი კი, დაუყოლებიათ, მაგრამ ბოქლომის დადება არ დაგინწყიათ და თუ მავანის ნება არ იქნება, გეკრძალება დიმიტრისეულ საკარმიდამოზე ჩასვლა.

მიუხედავად ჩვენი, და არა მარტო ჩვენი, არაერთგზის გაფრთხილებისა, ახალი მეზობელი ნაკვეთში კვლავ სამუშაოებს აწარმოებს. ნეტავი, ახალ მეზობელს ზურგს ვინ უმაგრებს და აქეზებს – მიდი, ნუ გეშინია, ნაკვეთი რამდენიც გინდა, მიიტაცე და, რაც გინდა, გააკეთე, შემომდაგებელი არავინ იქნებო...

სხვათა შორის, მეზობელს თავისი დასასვენებელი სახლისთვის ძალზე პრესტიჟული სახელი – „მწერლები“, დაურქმევია... როგორი ამბავია, „მწერლები“ იტაცებენ დიმიტრი ყიფიანის საკარმიდამო ნაკვეთს! ნუთუ, ვერ აცნობიერებენ, რომ სხვისი ქონების ხელყოფა კანონით დაუშვებელია?! მიტაცებულ ნაკვეთს, ალბათ, იურიდიული გაფორმებალა აკლია. წამქეზებელიცა და მიმტაცებელიც გირსაც მოძებნიან, რომ კიდე ერთხელ დაჰკრან თავში ქვეყნისათვის თავდადებულ რაინდს... იქნებ, ჰგონიათ, რომ დიმიტრი ყიფიანს პატრონი და გულშემატკივარი არა ჰყავს? თუ ასე ფიქრობენ, შევახსენებთ, რომ პატრონიცა და გულშემატკივარიც სრულიად საქართველოა, ქართველი ხალხია, რომელიც არ დაუშვებს წმინდა დიმიტრი ყიფიანის ხელმეორედ მკვლელობას!

ქართველი საზოგადოებისგან ველით გამომხაურებას, – დავუბრუნოთ საკარმიდამო ნაკვეთი კანონიერ მფლობელს – ევროპის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს!

თამაზ ლაცაბიძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება

ახალი წიგნი

აპრილია და...

ჩანახატი



აპრილია და თოვს, ფიფქებით არა, ფურცლებით, სული მზის სხივებს მთხვოს, ვუძღვებ, რასაც ვერ ვუძღვებდი! აპრილია და მწყინს, ცას შეეცვალა მზერა, ოცნება ფიქრებს ცრის, სურვილებს ქარგავს ზენა! გაზაფხულდა და გულს მონატრებია რამდენი, წვიმს და სხივები მსურს, დარდს ისევ შენით გავდევნი! მოგეფერები კვლავ, შეუხებელი ხელებით, კი არ მაცოცხლებ, მკლავ! – ფუჭ იმედების შეგრძნებით! აპრილია და მზეს საკინძე ისევ შეხსნია, მე ვერ შევიცვლი ზნეს! ნუგეში ჩემი ლექსია! აპრილია და ქრის, ქარმა წაიღოს სურვილი, მე ხიბლი ვიგრძენ ზღვის და უსაშველო წყურვილი...

ხმამალა ნათქვამ სიტყვას სხვა ხიბლი აქვს, ისევე, როგორც გულში წაკითხულს...

შევაგროვე ჩემი თქვენამდე მოსატანი სათქმელი და რთული მარტივად გადავიტანე ფურცლებზე თუ, პირიქით, მარტივი რთულად წარმოვთქვი, – თქვენთვის მომინდვია, ამ მოქსოვილი ლექსების ანალიზთან ერთად, რომელიც ჩემი პალიტრიდან ჩამოვღვარე ამ კრებულში და, რომლის დაბადებას სულმოუთქმელად ველოდი...

გულწრფელობისთვის სიმამაცვა საჭირო, სიყვარულისთვის – თავგანწირვა, სიკეთისთვის – დაულალავი შრომა.

მე მჯერა სასწაულებისა და იმ ფერადი ლექსების, ჩემს მარტივად რთული ლამეების მარადისობაში რომ მოვქსოვე!..

ხათუნა ჩიტაძე

„მარტივად ძნელი“ „მოსაქსოვი ლამეები“

ხათუნა ჩიტაძე იმაზე მეტს ფიქრობს და ამბობს, ვიდრე ამას ერთი ადამიანის გული გრძნობს... პოეტს საკუთარი ტკივილებისა და დაკვირვებების მიღმა უამრავი „ფიქრისთვის გაჩენილი“ ადამიანის სათქმელი აქვს გადმოცემული.

ხათუნა არ კმაყოფილდება, არ იფარგლება მხოლოდ საკუთარი ტკივილებითა და წინააღმდეგობებით, რადგან მისი პირადი განცდა განზოგადებულ ხასიათს ატარებს.

მოქალაქეობრივი პოზიცია, მშობლიური ხაზურისა და მთელი საქართველოს მიმართ წრფელი სიყვარული, ქალის მრავლისმომცველი გულით დანახული მალლობა-დაბლობი, ხათუნა ჩიტაძისათვის მწვერვალზე ასატანი „დაზვერილი“ ტკივილებია, რომელთა ამოკვლევას, ძვირფასი, დროით გაცვეთილი ფარდაგის მსგავსად, ხელახლად გაცოცხლებას ცდილობს და, ახერხებს კიდევ!

ხათუნა ჩიტაძე ნამდვილი ხელოვანია! ხელოვანია მაშინ, როდესაც ხატავს... ხელოვანია მაშინ, როდესაც ქარგავს... ხელოვანია მაშინ, როდესაც მიმტევებელი სულით ეფერება მას, ვინც გული ატკინა!

ხელოვანია მაშინაც, როდესაც თავის მოსწავლეებს, უპირველესად, ადამიანობას ასწავლის!

...და მაშინაც, როცა მისი მიმტევებლობა არის ასე „მარტივად ძნელი“ „მოსაქსოვი ლამეების“ მდუმარებაში...

მზია ხეთაგური – ხათუნა ჩიტაძის წიგნის რედაქტორი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პატრიარქის მიერ დაჯილდოებული წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

კედელი

ფორთხავდა ძირს, აგროვებდა ფესვებსა და ნაყოფს, დასდევდა ნადირს, გლეჯდა ლოჯებით იმ ხორცს, ალბათ, იჩიქინდა კბილებს ხისგან ჩამოტყეხილი ტოტითა თუ მჩხვლეტავი წინვით თუ ანუხებდა, რა თქმა უნდა, კბილთა შორის გაჩხერილი ცხოველის კუნთოვანი მასა, ანდა არც იჩიქინდა, წუნნიდა, სადამდეც ძლებდა და ახერხებდა, მომავალ ნადირობამდე, შიმშილი რომ დაეოკებინა. შემწვარი ხორცის სუნი უფრო მეტ დოუს ადენდა და მადას უღვიძებდა, ხელებიც ეწვოდა, როცა ცხელოდა ცეცხლთან, შორიდან ატრიალებდა მიყრილი ხორცის ნაჭრებს, ხან კი სიამოვნებდა და ახლოს იწვოდა, სიცივე რომ კბენდა დახორკლილ კანზე და ნემსებით ერჭობოდა ღრმად, შიგნით, მშიერ კუჭამდე ადვილად აღწევდა და დაუკითხავად იბუდებდა იქ. ტლანქი, გაშავებული, დახეთქილი ხელებითა და მომტვრეული ფრჩხილებით ეზიდებოდა ლოდს, იჭიფებოდა, იგრიხებოდა, ულურჯდებოდა ტუჩები და უცნაურად უთრთოდა გოგირდით მოთხიპნილი ყურის ნიჭარები.

აჰა, გამოადრო დიდი ქვა, შეძერა გამოქვაბულში, ცეცხლიც შეიტანა. ყველანი შევიდნენ, მაგრამ მაინც დანაწილდნენ, დაქუცმაცდნენ, მცირე ჯგუფებად შეიკვრნენ დამცხრალი ვნების ნაყოფებთან ერთად. ეს იყო შორს? დიდი ხნის წინ? ათვლიდან იქნებ მალე, იქნებ გვიანაც. გამოქვაბულის კედლები ქარისგან იცავდათ, წვიმისგან, თოვლისგან, ზვავისგან, ტალღებისგან, ფიქრობდნენ, სიკვდილისგანაც და მერე... ერთმანეთისგან.

კედელმა ფარდა ჩამოაფარა, მზე დააბნელა, მთვარეც ჩააქრო, ცაც გააქრო, ჩრდილიც მოშალა, ნიავიც ალაგმა, სიცილიც დააყრუა, ტირილიც გააჩუმა, დარდიც გააფერმკრთალა და ტკივილის რეცეპტორებიც გაანელა... აღარაფერი ჩანს კედლის მიღმა, ვერაფერს ხედავ, აღარც არსებობს თითქოს, მიდი-მოდიან, ჩქარობენ თუ ნელა დაიარებიან, დარბიან თუ დაბაჩუნობენ, თქვენსა და მათ შორის კედელია. სიმშვიდეა რატომღაც, ველარ გხედავენ, აღარ გხედავენ, არ უნდათ და მორჩა! ფიქრობენ, კედელი ხომ გფარავს, ხომ იხრუკები, იტანჯები, იგრიხები. თავის გასამართლებელი ალიბი წყალშეუფვალა – კედლიდან არაფერი ჩანს, არ ისმის, არ იხედება და აბა რა ქნან, ხომ ვერ შემოაღწევენ, შემოძვრებიან უჩინარი ალებივით, მისნებივით, ციკლოპებივით, სრიალა მახრჩობლებივით იუდას ამბორის მოსაძღვნელად.

კედელს ხომ არ გაანგრევენ, რომ გაგიყვანონ გარეთ, სულზე მოგისწონს, ამოგასუნთქონ, გადაგარჩინონ, ჟანგბადით აგივსონ ფილტვები. ვის უქნია ეს? რატომ არ შეეცადნენ, რაიმე გზით, ხერხით, ძალით გაეზარათ უხილავი თუ ხილული კედელი, ბნელი, დაზუპილი, შეუვალი. ბედნიერების მორევში ჩაფლულს, იმედიანი ღიმილი რომ გიპობს სველი ბაგის კუთხეს და განმეორების მოლოდინში შენი თვალების ციმციმა ნაპერწკლები ისე ანათებს ჯურღმულსაც კი, რომ კედლებიც კი ვერ უძლებს ამ ნათლის შეკავებას, ყველა ხედავს მაშინ, გამჭვირვალე ხდება კედელი, მყიფე. მათმა თვალთა მზერამ გაადნო, გაალო, გახია და ისე მოგწვდა, რომ დაგმანთა, ამოგბუგა, დაგაპატარავა, გაგაშავა, დაგკუნტა და გაგაქრო, მოგინელა და შეგჭამა, შენივე ციმციმა ნაპერწკლებში ამოგხადა გავლიძებული მოზეიმე სული... ყველამ დაგინახა, კედელში ყველამ შემოაღწია, არ გაპატია, განანა... და დამშვიდდა.

კედელიც გამყარდა ამის შემდეგ, გაქვავდა, უჩინარი და ბნელი გახდა და მათაც ამოისუნთქეს, წელში გასწორდნენ, დამშვიდებულებმა გააგრძელეს სუნთქვა უკანასკნელ ამოქმენამდე.

ნინო ქიტაშვილი – | საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი



ქართული ლიტერატურის ლაბორინთებში

სიოლა და მწერლობა

ნემდე, ქართული ლიტერატურის განვითარების გზები და მასთან ერთად მიმდინარე სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ-სოციალური პროცესები ქრონოლოგიურად წარმოაჩინეს, ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედების ამონარიდებთან ერთად.

კომპოზიციას თეატრალური ელფერი შესძინა მოსწავლეთა მიერ გაცოცხლებულმა ქართველი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების პერსონაჟებმა.

მსგავსი ფორმატის ღონისძიებები მოზარდ თაობას მეტ მოტივაციას მისცემს მშობლიური ლიტერატურის ცოდნა-შემეცნებისათვის.